სტამბა და რედაქცია
ტფილისი, სასახლის ქ.,
სათ.-აზნაურო ქარვასლა.

ხელის-მომწერნი გაზეთის დასაკვეთად მიჰმართავენ რედაქციას დილის 10—3 საათამდე და საღამოს 6—7 და „წ. კ. საზ.“ წიგნის მაღაზიას.

ხელ-მოუწერავ წერილებს რედაქცია არ ბეჭდავს.

პირის-პირ მოლაპარაკება რედაქტორთან შეიძლება ყოველდღე.
ტელეფონი № 363

# ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური სახალხო გამოცემა

გაზეთის ფასი
ერთის წლით 6 მან., ერთის თვით 60 კაპ.
ცალკე ნომერი 3 კაპეიკი
ფასი განცხადებისა
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე 10 კაპ., მეოთხეზე — 5 კ.

Типографія и Редакція
„Цнобисъ Пурцели“
Тифлисъ, Дворцовая ул. д. Дворянства.
Телефонъ № 363.

თავ. ზაალ ნოშრევანის ძე ჭავჭავაძე აუწყებს რა ნათესავთა, თანა მოსამსახურეთ და ნაცნობთ გარდაცვალებასა კოჯორში 18 აგვისტოს ძმისა თვისისას ტფილისის საგლეხო საკრებულოს წევრისა, დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკის

## თ. იასე ნოშრევანის-ძის ჭავჭავაძისა

სთხოვს განსვენებულის პატივის მცემელთ მობრძანდნენ 21 აგვისტოს დილის 9 საათზე წირვის მოსასმენლად და პანაშვიდზე დასასწრებლად იოანე ღვთის მეტყველის ეკკლესიაში ვერაზე, სადაც იქნება დაკრძალული განსვენებული. პანაშვიდი ყოველ დღე ნაშუადღევის 5 საათზე.

(3—2)

## გაფრთხილება

რადგან ამ უკანასკნელ ხანებში ჩემი ფირმის ეტიკეტს (წარწერას) ყალბად ბეჭდვენ სხვა მექარხნეები, ამიტომ ვსთხოვ ჩემს მუშტრებს, რომ ყურადღება მიაქციონ ჩემს გვარს ნ. ბოზარჯიანცი (Н. Бозарджіанцъ).

პატივისცემით ტფილისის თამბაქოს მექარხნე
ნ. ი. ბოზარჯიანცი

(5—3)

ქალ-ვაჟთა სკოლა

## ელენე ლუკას ასულის ბახტაძისა

ღ. ხონში

პირველ სექტემბრიდამ ამა 1898 წლისა, ნება-რთვით ბ. კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველისა, გადაკეთებულ იქმნება ოთხ-კლასიან

## საქალებო პროგიმნაზიად

მოსწავლეთა გამოცდა უმცროსს და უფროსს მოსამზადებელ და აგრეთვე პირველ პროგიმნაზიულ კლასებში გაგრძელდება 1-დამ 10 სექტემბრამდე. ეგზამენები იქნება ყოველ-დღე, ნაშუადღევის 2 საათამდის.

თხოვნები უნდა გამოიგზავნოს პროგიმნაზიის უფროსის ელენე ბახტაძის სახელობაზე.

სწავლის საფასური მოსამზადებელში 30, ხოლო პროგიმნაზიულ კლასებში 50 მან. წელიწადში. (15—3)

!!ყველას საგულისხმოდ!!

31 მაისიდან მცხეთის სადგურის მახლობლად 200 საჟენის მანძილზე (ბეჟანოვის საგარაკოში)

სასეირნო ბაღი

## არმაზი

ბაღში იქნება მუდმივ ევროპიული და ადგილობრივი საჭმელ-სასმელი.

ავდრებისა და უამინდობის დროს ბაღში გამართულია ფარდულები და ოთახები.

ეზოში მშვენიერს აუზში სასმელი წყალია წყაროდგან,

ცოცხალი თევზები

ყველაფერი იაფად

მშვიდობიანობა და სიწყნარე ყოველთვის დაცული იქნება.

(40—33) ე. ჩხარტიშვილი



## „ბავშვების მოკეთის“

შესახებ.



აუარებელი გამამხნევებელი წერილები მშობლებისა და მასწავლებლებისა და მარჯვედ ყიდვა ამ წიგნისა მაიძულებენ მეორე გამოცემა დავიწყო და ვსთხოვ ყველას, ვისაც-კი გული ერჩის სამშობლო საყმაწვილო ლიტერატურისათვის, მომაწოდონ თავიანთი შთაბეჭდილებანი და შენიშვნები ამ წიგნის შესახებ. — ყველა შენიშვნას სულითა და გულით მივეგებები. მიწერ-მოწერა შეიძლება ან ჩემს სახელობაზე სათავად-აზნაურო სკოლაში, ან „ცნობის ფურცლის“ რედაქციაში.

წიგნი „ბავშვების მოკეთე“ მოწონებული და სახელმძღვანელოთ დადგებულია მთავრობის მიერ.

ეს წიგნი იყიდება ყველა წიგნის მაღაზიებში. — სოფლის მასწავლებლებს იაფად დაეთმობათ, ე. ი. უყდო 20 კაპ., ყდიანი 25 კაპ., თუ პირდაპირ ჩვენგან გამოიწერავენ.

ადრესი: Тифлисъ. Типографія Хеладзе, для передачи учителю Натадзе.

(50—27) პატივისცემით ალ. ნათაძე.

**ქუთაისის სათავად-აზნაურო სკოლა.** მიმდინარე წლის ენკენისთვისათვის სკოლაში არის თავისუფალი ვაკანსია 45 I მოსამზადებელ განყოფილებაში. სხვა განყოფილებებში და პროგიმნაზიულს კლასებში არც ერთი თავისუფალი ადგილი არ არის. შესაძლებელია სექტემბერში მოსწავლეების ხელმეორე გამოცდის შემდეგ გაიხსნას რამდენიმე ვაკანსია, მაშინ დაინიშნება საკონკურსო ეგზამენი და მიღებულ იქმნებიან ისინი, ვინც საუკეთესოდ დაიჭერენ ეგზამენს.

თხოვნა უნდა შემოიტანონ აგვისტოს 30-მდის. თხოვნასთან ერთად საჭიროა შემდეგი საბუთის ქაღალდები: 1. ნათლობის მოწმობა. 2. ყვავილის აცრის მოწმობა და 3. მოწმობა ქუთ. სათავად-აზნაურო ბანკიდან, რომ მოწაფის მშობელი ირიცხება ხსენებული ბანკის დამფუძნებელთა შორის.

ხელ-მეორედ ეგზამენი მოხდება 1, 2, 3 და 4 სექტემბერს და მისაღები საკონკურსო ეგზამენი 5 და 7 სექტემბერს.

10 სექტემბრიდამ სკოლა გადადის ივ. პ. ჯაიანის სახლში ლევაშოვის ქუჩაზე. სწავლა დაიწყება 16 სექტემბერს.

ქუთაისის სათ.-აზნ. სკოლის ინსპექტორი
ალ. ალ. გარსევანიშვილი

სამკურნალო და ამბულატორია

## ს. ბ. თოფურიასი

ქუთაისში.

სამკურნალოში 50 საწოლია ავადმყოფთათვის. მიიღებიან ავადმყოფნი: შინაგანისა, ნერვების, საქირურგო, თვალისა და დედათა ავადმყოფობისანი.

გადამდებ სენით ავადმყოფნი არ მიიღებიან:

ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე· შინაგან და ნერვების ავადმყოფობას სწამლობს ს. ბ. თოფურია. საქირურგიო ავამყოფობას და სიფილისს ფ. კ. ბერრატი.

დედათა ავადმყოფობას მკურნალი ქალი მ. თ. კოგანი.

20 მაისიდამ — დედათა ავადმყოფო-

ბის და აკუშერობის D-r ფ. ბაცევიჩი.

თვალების ავადმყოფობას—ი. ქ. ვარშავსკი.

ამბულატორიაში არის კაბინეტი, საექიმო და საბაქტერიოლოგიო გამოკვლევისათვის, ელექტრონით წამლობისათვისა და საქისთვის.

სამკურნალო დირექტორი ს. ბ. თოფურია.

*Лѣчебница С. В. Топуріа* въ Кутаисѣ.

# ახალი ამბავი

⁂ **მთავარ-მართებლის ჩამობრძანება.** როგორც ამბობენ, მთავარ-მართებელი თავ. გოლიცინი ჩამობრძანდება მოსკოვიდან დამდეგ კვირას, ხოლო მისი თანაშემწე, გენერალ-ლეიტენანტი ფრეზე დამდეგი კვირის სწორს.

⁂ **სათავად-აზნაურო თეატრის შეკეთება,** ამ ჟამად თეატრში გაცხარებული მუშაობაა. უნდა თეატრი ისე გადააკეთონ, როგორც საგუბერნიო სატეხნიკო კომისიამ უჩვენა შეკეთება, რათა თუ ვინიცობაა თეატრში ცეცხლი გაჩნდა, მაყურებლები უზრუნველ იქმნენ განსაცდელისაგან.

თეატრში გადაკეთდება აგრეთვე გასათბობი კლორიფეები, ან სულ მოიშლება. თეატრს ორთქლით გაათბობენ, რაიც დიდი ბედნიერება იქნება, რადგან სათავად-აზნაურო თეატრის პირველი ნაკლი სწორედ სიცივეში იყო.

⁂ **იტალიური ოპერა სათავად-აზნაურო თეატრში.** წელს სექტემბრის პირველ რიცხვებში გაიმართება რამდენიმე წარმოდგენა იტალიური ოპერისა, რომელიც ამ ჟამად რუსეთში მოგზაურობს ფეორინდო კასტელანოს დირიქტორობით. დასი, თურმე, შესდგება 70 კაცისაგან. მრავალი შესანიშნავი მომღერლებია დასში' საკუთარი ორკესტრი, დეკორაციები, ტანისამოსები და სხვა მოწყობილობა. რეპეტიციები ამ თვის ბოლოს დაიწყება.

⁂ **დრამატიული საზოგადოების** კრება დანიშნულია 3 სექტემბერს.

⁂ **ყავის მოშენება კავკასიაში.** როგორც ისმის სამეურნეო სამინისტროში აზრად აქვს კავკასიაში ყავა გააშენოს.

⁂ **კავკასიის ნავთ-სადგურების დათვალიერება.** როგორც გაზეთები იუწყებიან, ამ თვის დამლევს კავკასიის ნავთ-სადგურებს დაათვალიერებს მინისტრის ამხანაგი გენერალი პეტროვი.

⁂ **ბრილიანტის ქურდი.** ამას წინად ქ. როსტოვში ვიღაც მირზაევს მოუპარავს საოქრო-მჭედლოდან 28,000 მან. ბრილიანტები, ძვირფასი ქვები და ოქროულობა. პოლიცია გაცხარებით დაეძებს მირზაევს, რადგან ეგულებათ, რომ აქეთ გამოემგზავრაო.

⁂ **მცხეთის ტაძრისათვის,** გუშინ, 19 აგვისტოს, მღვდელი მამა სტეფანე ბერიძე წაბრძანდა კოჯორში მცხეთის ტაძრის გასაახლებელის ფულის მოსაგროვებლად. მამა სტეფანეს აზრად აქვს იქიდან სხვა ქალაქებში წავიდეს ფულის მოსაგროვებლად ამავე ტაძრისათვის.

⁂ **წერილი გურიის საჭიროებაზე.** გუშინდელ „ს.-პეტერბურ. ვედომ.“ 221 №-ში დაბეჭდილია ფრიად საგულისხმო წერილი გურიის თავად-აზნაურთა საჭიროებაზე შესახებ სწავლა-განათლებისა, რომელსაც უშველის მხოლოდ პროგიმნაზიის დაარსება ქ. ოზურგეთშიო.

⁂ **გავარდნალი ყაჩაღის შეპყრობა.** „ნოვ. ობ.“ დეპეშით ატყობინებენ, რომ ცნობილი ყაჩაღი მელიტონ გერსამია, რომელიც თურმე, აგერ 17 წელიწადია გამოიქცა ციმბირიდან და გავარდნილი იყო, დაუჭერიათ ბოქაულებს ქეიდიას და კუთელიას.

⁂ **პურის ფასი ტფილისის ბაზარზე.** ამ დღეებში ფუთი ხორბალი გაიყიდა ექვს აბაზად, ფქვილი 1 მ. და 5 კ., ქერი 60—62 კაპ. საზოგადოდ წელს კარგი ფასებია ტფილისის ბაზარზე.

⁂ **საკვირველი ბედნიერი შემთხვევა.** სად. კარატაპაში, თვრამეტ აგვისტოს, მატარებლით, № 1 მოდიოდა ვიღაც რკინის გზის დარაჯის ცოლი, რომელიც ფეხ მძიმეთ ყოფილა; როცა ყარაიაზიდან გამოსულა მატარებელი, ქალსაც უგრძვნია მუცლის ტკივილი, მაგრამ რადგან ვაგონში თავისუფლება არ ყოფილა, გასულა ფეხის ადგილზე და იქ ერთბაშად კი განთავისუფლებულა. ბავშვი ფაიფურის ტასტში უშობია მას და მილში ჩავარდნილა და იქიდან ვაგონს ქვეშ გამოვარდნილა მატარებლის სიარულის დროს; წარმოიდგინეთ ბავშვის იღბალი, ისეთ რბილ ალაგას დავარდნილა, რომ სრულებით არა დაშავებია რა. ამ დროს ლიანდაგზე გზის დარაჯი მოდიოდა, რომელსაც დაუნახავს ყმაწვილი და მაშინვე წარუდგენია „დაროჟნი მასტერის“ ბ-ნი ნასიძისათვის. ბავშვი სრულებით საღია და ძუძუსაცა სწოვს.

⁂ **დ. ახალ-სენაკი. თავზედური საქციელი.** აქ ახლო, თეკლათის დედათა მონასტერში ერთი თვე იქნება, რაც ვიღაცა ყოველ ღამე ქვებს ისვრის და ფანჯრებს ამტვრევს. ამ უკანასკნელ დროს, რომ აღარა ეშველა-რა, შეატყობინეს პოლიციას, რომელმაც ყარაული დააყენა და შეიპყრეს ერთი ყმაწვილი გვარად ეჯიბია, მაგრამ როგორც შევიტყეთ, ბიჭი სრულიად მართალი ყოფილა. საქმე მაინც გამოძიებაშია.

— **ისტორიული სიძველე.** ამ ჟამად აქაურ სამაზრო სამართველოში ინახება ოთხი ნივთი: რკინის ქუდი გარეთ მაუდ შემოკრული, რკინის ჯოხი, რკინის ჯაჭვი ჯვარიანათ და ერთი კიდევ რკინის რაღაც პერანგსავით წელს ზევით დასაფარავი, წონით დაახლოვებით $3\frac{1}{2}$ ფუთი იქნება. ამ ნივთებზე წარწერები რუსულია, მაგ. წელს ზევით ჩასაცვამზე, სხვათა შორის, აწერია: „Іисусъ Назарей Царь Іудейскій“ შემოკლებულად, ქარაგმით. როგორც ნივთების გასინჯვით შევიტყეთ, ეკუთვნის ძველ ომიანობის დროს, მაგრამ გასაკვირველი ის არის, რომ იმ დროში რუსული წერა ბერებმა ან ვინმემ სად იცოდა, რადგან ის ნივთები ბერებისად ჩავთვალეთ. სასურველია მაზრის უფროსი ქავთარაძე ამ საისტორიო ნივთებს გადასცემდეს „წერა-კითხვის გამავრ. საზ.“, ან საეკკლესიო ისტორიულ სიძველეთა საცავს ტფილისში.

გურულ-მეგრელი

⁂ **ბახვი** (გურია). **განმარტება.** ბ-ნო რედაქტორო! თქვენს პატივცემულ გაზეთ „ცნ. ფურ.“-ს 584 №-ში სხვათა შორის დაბეჭდილი იყო „გოჯასპირას გოდება“, რამაც ბახვში დიდი სამითქმა-მოთქმო მასალა გაუჩინა ზოგიერთ აქაურ ვაჟბატონებს და რომლის ავტორობასაც მე მწამობენ, რაც არც სულმა და არც ხორცმა ჩემმა არ იცის; ამიტომ უმორჩილესად გთხოვ, თქვენივე გაზეთის საშუალებით მომცეთ შეძლება ეს ცილის-წამება ავიცილო, რომ იმ წერილის ავტორი მე არა ვარ, ხოლო ვიტყვი შემდეგს: ამ ახირებულმა მათმა შეფერებამ ერთი შემთხვევა მომაგონა: ქუთაისში თურმე სვანები ჩამოვიდნენ და ერთს მაღაზიაში ქუდები ნახეს გასაყიდი. მივიდნენ და თითომ თითო ქუდი დაიხურა და დიდათ გაკვირვებულნი დარჩნენ, როცა თავზე თითოეულ მათგანს მოერგო და ერთიმეორეს განცვიფრებულნი ეკითხებოდნენ: „რა იცოდა იმ მექუდემ ჩვენი თავის ამბავი, რომ ასე სარგო ქუდები შეუკერავსო“. სწორედ ამ სვანებსავით მოუვიდათ იმ პირთ, რომელთაც ეს წერილი მოერგოთ, როგორც სვანებს ქუდი. სათქმელი ბარემ მეტიც მოიძებნება ამ დალოცვილ ბახვში, მაგრამ ეს იმ კურთხეულ გოჯასპირას უყურადღებოდ დაუტოვებია. *)

ალექსანდრე მგელაძე

⁂ **ცხინვალი. ჩვენი უზრუნველობა.** ქირნახული კარზე მოზიდული თუ მინდორში გვიოხრდება ძაღლისა და ღორისაგან და არ ვიცით როდის გვეღირსება გალეწა და დაბინავება; ან-კი რათ გვინდა, ხელათ რაც გვჭირდებოდა გამოვფქვით ამ ბედნიერი დღეებისათვის და მერე ღმერთია მოწყალე, იმის განგებას ვინ წაუვა წინ. ტყუილად არის დაწერილი „მხნე იყავ და განძლიერდიო“, ხოლო ის-კი მართალს ამბობს, რომელმაც სთქვა: „ხვალემან იზრუნოს თავისა თვისისათვის“, ოღონდ-კი დღეს მუცელი მაძღარი მქონდესო. განა ამის მთქმელს იმედი არ უნდა ჰქონდეს, რომ ზეცამ პირი მოიქუშოს და ენკენისთვეშიაც აღარ გადაიღოს! „რეგვენი საქმეს წაახდენს, ფათერაკს დააბრალებსო“ — ყველას თავის დრო აქვს და თუ თავის თავისათვის სიკეთე უნდა, ამ დროს ნუ დაჰკარგავს.

კვირიკელა.

⁂ **ს. ალი** (ქართლი). **ჩარჩების ჩხუბი.** ს. ალში სცხოვრობენ ორნი ძმანი ერთგვარი ჩარჩები: ბატონა და კარგო, რომლებიც დახელოვნებულნი არიან ყვლეფა-გლეჯაში და ეკუთვნიან პირველ ხარისხოვან ჩარჩთ. უფრო ნამეტნავად-კი პირველი ძმა ბატონა, რომლის გაიძვერაობა და მატყუარობა საარაკოა. ფულის გულისთვის აღარ იცის თუ რა ჰქნას! ძმას გაჰყიდის, მშობლებს დააგირავებს, ცოლ-შვილს... და ნამუს-სინიდისს გაირეცხს! ამ ორ ძმათ მოუვიდათ ერთი-ერთმანეთში უსიამოვნება და მოინდომეს საცხოვრებლის განაწილება და ცალ-ცალკე ცხოვრება, მაგრამ, სამწუხაროდ, უმცროსი ძმისა უფროსმა მიითვისა, რაცრამე აბადიათ, ამასთანავე შვიდასი თუმანიც ჯიბეს იკრა და თავისს ძმას-კი ამ სიტყვით მიადგა: „მთელი ალი პირქვე დამხობილი მყავს და გაღარიბებული, აქაური გლეხების წანაგლეჯით ცხოვრება შემიძენია, მიწვალნია, მიშრომნია, სასამართლოებში მიხეტიალნია, უუმრავლესი გლეხის ცოდვა ამიღია, ხალხი მომიმდურებია, ნამუსსა და სინიდისზე ხელი ამიღია ფულის გულისათვის, მთელი სოფელი ცოლ-შვილს მიწყევლის, შენ-კი დამდგომიხარ და ნაწილსა მთხოვ, რას ფიქრობს შენი სინიდისი?!.“ ბევრის ლაპარაკის შემ-

---

*) ხსენებული წერილი არ ეკუთვნის ბ. ალექ. მგელაძეს. რედ.

დეგ უმცროსს ძმასაც გული მოუვიდა, რომ წვრილ-შვილს კაცს ცარიელს ტოვებს, ისიც გამოელაპარაკა და იქნობამდე მიაღწია მათმა ჩხუბმა, რომ ერთი-ერთმანეთი კინაღამ ხანჯლებით აკუწეს, მამასახლისს და იმათგან გალატაკებულს გლეხობას რომ არ გაეშველებინათ... მოდი და ზოგ კაცს სინიდისი სთხოვე! გაიძვერა უნამუსო ჩარჩი ბატონა ძმასაც-კი არ ინდობს და სხვას დაზოგავს?!.

ის არა ვარ!

*** **ს. ქვიშხეთი** (ქართლი). **გონებრივი საზრდოს უქონლობა.** ეს სოფელი მდებარეობს მდ. მტკვრის მარცხენა მხარეს და წარმოგვიდგენს ერთს უმშვენიერესს სააგარაკო ადგილს. სოფელ ქვიშხეთში სცხოვრობს ორასამდე კომლი; აქაური თავად-აზნაურნი შეადგენენ ინტელიგენტთა დასს, როგორც მამაკაცნი, ისე დედაკაცნი; ყოველ მათგანს ცოტად თუ ბევრად სწავლა-განათლება არ აკლიათ, მაგრამ გონების გასართობი მაინც არ მოიპოვება აქა. ერთი უბრალო სამკითხველოც არ მოეპოვებათ, რომ აგარაკად მოსულ ხალხს ესარგებლნა, ან საწყალს გლეხკაცობას ათასში ერთხელ გადაეკითხნა წიგნი. ნუ თუ ისეთი პირი არ ურევია ამ ინტელიგენტთა დასში, რომელსაც შეეძლოს ამ კეთილი საქმის ხელის მოჭიდება და განხორციელება?

ამ სოფელში არსებობს სამრევლო სკოლა, მაგრამ არც ერთს გლეხის შვილს არა აქვს სურვილი სწავლისა, რადგან არ იციან სწავლის სარგებლობა. ესეც კიდევ აქაურ ინტელიგენტთა დანაშაულობას მიეწერება. არც ერთი მათგანი არ აუხსნის უვიც ხალხს, თუ რა მნიშვნელობა აქვს სწავლას და რა სარგებლობა შეუძლია მოუტანოს ხალხს. წინად მოსაწონი ის იყო, რომ ხანდახან ქართულ წარმოდგენებს ჰმართავდნენ ხოლმე, წელს-კი ესეც აღარ გვღირსებია. განა გასამტყუნარნი არიან?! სწავლა-განათლების გავრცელებას და წიგნთ-საცავის დაარსებას გამოუდგნენ, თუ ქვიშხეთის ბაქანაზე ისეირნონ! მახლას! დროა სა[illegible]ათას ძილს ჩვენც თავი დავახწიოთ...

— **მოსავალი.** ამინდები კარგი დგას, ზომიერად გრილა, აგარაკად მოსული ხალხი, უეჭველია, მარიამობისთვის გასულამდის დაუბრუნდება ტფილისს. იმედი არ გაგვიცრუვდა. ლეწვა თავდება თავის კვალობაზე და მოსავალიც კარგია, მხოლოდ ხარჯიანია. სიმინდსა და ვენახებს ჯერ-ჯერობით კარგი პირი უჩანს ღვთის მადლით, თუ მე[illegible]ე არაფერმა ჩამოუარა.

დავიწყებული

*** **გურია.** უკან ჩამორჩენის მიზეზი. დღეს, როცა ჩვენი ხალხი ეკონომიურად და ზნეობრივადაც დაქვეითებულია, უპირველეს საშუალებათ, რასაკვირველია, „ძმობა-ერთობა“ უნდა ჰქონდეს ყველას აღიარებული, ყოველნაირ გაჭივრებას და დაბრკოლებას ერთი ძალით ებრძოდენ. სამწუხაროდ გურიაში ეს ასთე არ არის. იშვიათად შეხვდებით, რომ ძმები ერთად იდგენ და საზოგადო ცხოვრებაში ერთობა ჰქონდესთ; დაცოლშვილდებიან თუ არა, ძმებს ეყრებიან და ცალკე ოჯახობას კიდებენ ხელს. ამისი მიზეზი არის ან თვით ძმების, ან მათი ცოლების ხასიათის სისუსტე და უწესო აღზრდა. ამისთვის გურულები ბევრნაირ გაჭივრებას ითმენენ, ერთი მხრით ძმები შეერთებული ძალით შრომა-მუშაობას, რაიც აუცილებელ საჭიროებათ მიგვაჩნია, მოკლებულნი არიან, ჭირში და ლხინში ერთმანეთს ვერ შველიან და ამნაირად ძმური კავშირიც მათშორის წყდება. მეორე მხრით სხვა და სხვა მოვალეობას ცალკე ახდევინებენ. ამასთან მოვალეობის უმძიმესი უღელიც სუსტი და ღარიბს აწევს კისერზე, ამ ნაირად უამისოთაც წელში გაწყვეტილი გლეხი სასოწარკვეტილებას ეძლევა და თავის რჩენაზე გულ გატეხილი, ქურდობას და სხვა ავაზაკობას ჰკიდებს ხელს. ჩვენი აზრით ამას უნდა მიეწეროს ის გარემოებაც, რომ უკანასკნელ დროში გურიაში ასე გახშირდა ავაზაკობა. პირველი იმედი და ზნეობრივი მაგალითი, როგორც ყველგან, ღვდლები და მსწავლებლები უნდა იყვენ. ამათი გონიერი სწავლა დარიგება ყველასთვის ჭეშმარიტი მაგალითი უნდა იყოს. იქ, სადაც სწავლა-განათლება დაქვეითებულია, ღვდლებს აწევთ მოვალეობა რადგანაც ძველთაგან ღვდლები რაღაც მესაიდუმლე მეკანონეთ ითვლებიან და უსწავლელი ხალხი მათ როგორც „ღვთის კაცებს“ უფრო ადვილად ერწმუნება. მასწავლებლები გურიაში, რამდენათაც მათ გარემოება ხელს უწყობს, დიახაც სინდისიერად ეპყრობიან თავიანთ მოვალეობას. სამაგიეროდ ეს ასე არ ითქმის ყველა ღვდლებზე, თუმცა მათ მეტი მოეთხოვებათ. მართალია არიან რამდენიმე ნასწავლი ღვდლები, რომლებიც თავიანთ მრევლში ბეჯითად შრომობენ ხალხის ბედის გაუმჯობესობისათვის, მაგრამ უმეტესობა-კი ცუდ უბრალო მაყურებელია ხალხს გაჭირვებისა.

კუკუ.

## სამღვდელოების საყურადღებოდ

ბევრი წერილები მომდის საეკლესიო ხუცური წიგნების ბეჭვდის შესახებ. რადგანაც თითოეულად იმათი პასუხის მიცემა შეუძლებელია, ამისათვის საყოველთაოდ მოვახსენებ: უწმიდესი სინოდის ნება-დართვით, საქართველო იმერეთის სინოდალურ კანტორამ კეთილ ინება და გარდაწყვიტა „ხუცური საეკლესიო წიგნების“ ბეჭვდა და კვლავინდებულად მომანდვეს მე ბეჭვდა. ამ ჟამად იბეჭდება „სახარება“ და „სამოციქულო“, მზადდება დასაბეჭდათ „ჟამნი“, „კონდაკი“ და „მარხვანი“, რომლის ბეჭვდას ჩქარა შევუდგებით. არ შემიძლია არ მოვიხსენიო: ამ თორმეტი წლის განმავლობაში ბევრი ლაპარაკი გამოიწვია ამ წიგნების ბეჭვდამ. სამწუხაროდ აღმოჩნდნენ იმისთანა პირები, რომელნიც ამტკიცებდნენ, თუ რომ რუსეთში გარდაიტანდნენ წიგნების ბეჭვდას, უფრო კარგათ და შეუცთომელად დაიბეჭდებაო; მაგრამ კეთილი კაცების მეცადინეობით დარწმუნდა მთავრობა, ტფილისშიაც კარგათ დაიბეჭდება, თუ რომ გამსწორებელი კარგი ეყოლება. ჩემდა სამწუხაროდ უნდა გამოვტყდე—აქნობამდინ რიგიანი გამსწორებელი არ ჰყოლია დანიშნული საეკლესიო წიგნებს და ეხლა კი ჩვენდა სასიამოვნოდ პატივცემული ეპისკოპოზი ლეონიდი დაგვინიშნა მთავრობამ გამსწორებლად და სრული იმედი გვაქვს ყოვლად სამღვდელო ეპისკოპოზის ლეონიდის გულ-მოდგინე შრომით ავცდებით ყველა იმ მიზეზებს, რომელსაც გამოუცდელი პირები აწერდა სტამბას.

უმორჩილესად ვსთხოვ „ივერიის“ და „კვალის“ რედაქციას გარდაბეჭდოს ეს ცნობები.

მოხუცი მესტამბე ექვთიმე ხელაძე

# თეატრის მატიანე

**ს. ვაჩნაძიანი** (კახეთი). ქართული წარმოდგენა. კვირას, 2 აგვისტოს, სოფ. ვაჩნაძიანში ადგილობრივ სცენის მოყვარეთა მიერ ქართული უფასო წარმოდგენა იქმნა გამართული. წარმოდგენილ იქმნა „ბაიყუში“ და „მშვენიერი ელენეს მაძიებელნი“, ორივე ორ მოქმედებიანი კომედიები. „ბაიყუში“ თამაშობდნენ რევაზ თავქარიანის როლს თ. ალექ. ჯანდიერი, ელისაბედის როლს თავადის ასული ნატალია აბაშიძე, თალიკოს როლს—თავადის ასული ანასტასია ავალოვისა, გასპარას როლს—ბ-ნი გ. ყაზახაშვილი, კოტეს როლს—ვლ. ლაშხაური და ბიჭის როლს—თ. გ. ჯანდიერი.

„მშვენიერ ელენეს მაძიებელში“ —მახოხაშვილის როლს თამაშობდა ბ-ნი ვლ. ლაშხაური, ლომაძეს როლს—ბ-ნი გ. ყაზახაშვილი, ვარდოს როლს—თავადის ასული ნატალია აბაშიძე, ნინოს როლს—თავადის ასული ანასტასია ავალოვისა, დარია ჭანჭურაძის როლს—თავადის ასული სოფიო ჯანდიერი, თაიგულოვისას—თ. ი. ჯანდიერი და მოსამსახურისას—გ. ჯანდიერი.

ორივე პიესამ ძლიერ მხიარულად ჩაიარა; საზოგადოება დიდი კმაყოფილი დარჩა. მოთამაშეთ ცხადათ ეტყობოდათ, რომ იგინი გულითა და სულით შესდგომოდნენ საქმის კარგად დაბოლოვებას. სოფლად წარმოდგენები ბევრი გვინახავს, მაგრამ ასეთ სამაგალითოდ კი არსად. გრიმით და ტანსაცმელით ყველანი როლების შესაფერისნი იყვნენ. განსაკუთრებით მშვენიერი იყო თალიკოს როლში თავადის ასული ანასტასია ავალოვისა, ელისაბედის როლში ნატ. აბაშიძე, კარაპეტას და ლომაძეს როლებში—ბ. გ. ყაზახიშვილი, რომელმაც ბევრი აცინა საზოგადოება. აგრეთვე კარგად დაგვისურათ-ხატა რევაზ თავ-ქარიანი თ. ალ. ჯანდიერმა; ამასთანავე მოსაწონი იყო „ორთაჯ თვალის სინათლე“, რომელიც უმღერა თავადის ასულმა ს. ჯანდიერმა ანტრეპრიონერს მახოხაშვილს დასამტკიცებლად იმისა, რომ მე შემიძლიან „მშვენიერი ელენე“ ვითამაშოვო. არც თაიგულოვის და მახოხაშვილის როლები შესრულებულა ურიგოდ და სხ.

სცენა სიფართოვით და მოწყობილობით სწორედ სამაგალითო იყო; სულ ხალიჩებით დაფენილი—მორთული სასიამოვნო სანახავი იყო. ლამაზი ფარდა განგებ სცენისთვის იყო შეკერილი. სცენის წინ დიდი ფანჩხატური, თითქმის სავსე იყო ევროპიულს ჩალის სკამებით მაყურებლებთათვის. მოწვეულნი იყვნენ თითქმის მთელი კახეთის ინტელიგენცია, მაგრამ მხო-300-მდე დაესწრნენ, რომელთა შორის ადგილობრივი გლეხებიც იყვნენ. მოვიდნენ სიღნაღის მაზრიდგანაც, ბაკურციხიდან, გურჯაანიდგან, ველისციხიდან, მუკუზანიდან და სხვ. წარმოდგენა დაიწყო საღამოს ცხრის ნახევარზე და გათავდა თორმეტის ნახევარზე. ამ წარმოდგენით დიდად ნასიამოვნებმა დამსწრე ინტელიგენციამ ურთი ერთ შორის შეკრიბა 110 მ. 45 კ. და მიართვეს პატივცემულს კნეინა სალომე სიმონის ასულს ჯანდიერს აქაურის ერთი სტუდენტის სასარგებლოდ, აგრეთვე შაშიანელებისაგან 7 მ. 96 კ. და სულ ეს ფული—118 მ. 41 კ. დანიშნულებისამებრ მეორე დღესვე გარდაეცა კნ. სალომე ჯანდიერის მიერ ხსენებულ სტუდენტს. წარმოდგენის შემდეგ გა-

იმართა ცეკვა, შემდეგ მსურველნი დარჩნენ კნ. სალომე ჯანდიერის მიერ გამართულ ვახშამზე, რომელთა რიცხვი 100 კაცზე მეტი იქნებოდა. ვახშამმა ძლიერ სხიარულად ჩაიარა განგებ ამ ვახშმისთვის გამართულს ფანჩხატურში. თითქმის გათენებისას დაიშალა საზოგადოება. დიდის მადლობის ღირსნი არიან ზემო-ხსენებული ქალნი და ვაჟნი, აგრეთვე ბ. ალ. ნაიბოვი, ბ. ა. გოგნიაშვილი და ბ-ნი ქ—ძე, რომელთაც დიდის მხნეობით დააგვირგვინეს ღრმად პატივცემულის კნ. სალომე ჯანდიერის ეს სიმპატიური ინიციატიკა, რომლისათვისაც არავითარი ხარჯი და შრომა არ დაიშურა.

ონისიმე

## რედაქციისაგან

**დვაბზუში** ინ-ღანს. თქვენი საპასუხო წერილი ვერ იბეჭდება. ჩვენც იმიტომ დავბეჭდეთ ორი მოამბეს მონაწერი, რომ ერთს არ ვენდეთ და მართლაც ერთის შეცდომა ნებსითი თუ უნებლიეთი მეორემ გაასწორა და მიტომ თქვენი წერილი ეხლა მეტია.

**სამტრედიაში** მირიანელს. წერილი ბოქაულის გაცილებაზე ვერ იბეჭდება.

**საყარაულოში** მარტვილელს. თქვენი წერილი ცოლ-ქმრების ულმობელ საქციელზე საბრალო ობლის შესახებ ვერ იბეჭდება.

**ტფილისში** ირ. ანთელიძეს. თქვენი სამადლობელო წერილი არ დაიბეჭდება. მკითხველებისათვის არავითარს ინტერესს არ წარმოადგენს.

**ბათომში** მიცანს. თქვენი წერილი ოზურგეთის შესახებ, ქალაქის გამგეობასა და ბიბლიოთეკა თუ პროგიმნაზიასა და რკინის გზაზე ვერ იბეჭდება. საქმე მარტო დაცინვით როდი კეთდება...

**ახალ-სენაკში** გურულ-მეგრელს. მაფშალიას ლექსების დაბეჭდვა დაჯდება 600 ეგზემპლიარისა 12—13 მანათი.

## ყურმოკრული საუბარი

— დედა სახლშია?—ეკითხება სტუმარი ბავშვს.

— სახლშია, მხოლოდ კბილები კი სტკივა.

— საბრალო დედა! ძალიანა სტკივა?

— ძალიან! ისე სტკივა, ისე, რომ თითონ ვერ შესძლო ექიმთან წასვლა და კბილები გაჰგზავნა.

—

მოსამართლესთან.—ბრალდებულო მართალს ამბობ?

— მართალს მოგახსენებთ, ბ-ნო მსაჯულო.

— თქვენი ამხანაგი რომ სხვას ამბობს?

— მჯერა, რადგან ისიც სტყუის.


ახლად გახსნილი

# სტამბა „ცნობის ფურცლისა“

ტფილისი, სასახლის ქ., სათავად-აზნაურო ქარვასლაში №№ 119 120 და 121

სტამბა ყოველისფრით სავსე და მოწყობილია

ყოველგვარი საქმე სრულდება სწრაფად. სუფთად და იაფად.

სტამბა ასრულებს აგრეთვე პროვინციის მცხოვრებთა შეკვეთას, მსურველნი მიჰმართავენ სტამბას, რომელიც კისრულობს ხელ-ნაწერების აწყობას, დაბეჭდვას, ქაღალდის ყიდვას, კორექტურას, ენის შესწორებას, საცენზუროდან ნება-რთვის აღებას და სხ.

ჰბეჭდავს სავიზიტო ბარათებს სხვა-და-სხვა გვარ ქაღალდზე ვაჟებისა და ქალებისათვის იაფად და შნოიანად.

ВО ВНОВЬ ОТКРЫТОЙ

# ТИПОГРАФІИ „Цнобисъ Фурцели“

В. Л. ГУНІА

Тифлисъ, Дворц. ул., д. Грузинскаго Дворянства.

Исполняются всевозможные заказы на всѣхъ Туземныхъ и Европеискихъ языкахъ

**Дешевизна, изящество и быстрота исполненія**



# ურბენი L'urbain

საზოგადოება, რომელიც აზღვევს თანხებს, მზითვებს, შემოსავლებს და სხვა. შეღავათიანის პირობებით ავადმყოფობისა თუ შეუძლებლობის დროსათვის.

დაზღვეულთ მონაწილეობა ემლევათ მოგებაში დაზღვევის პირველ წლიდანვე.

კონტორა ამიერ-კავკასიისა, ამიერ-კასპიისა, თურქესტანისა და ბუხარის მხრისათვის იმყოფება **ტფილისში**, მიხეილის ქ. № 9, პოპოვის სახლი. ტელეფონი № 543.

მთავარი რწმუნებული ბაგრატ გერასიმეს ძე ტერ-მათეუზოვი

ინსპექტორი ნიკოლოზ გერასიმეს ძე ტერ-მათეუზოვი.

ცნობანი და ბარათები ყველას მიეცემა აგენტებისაგან მთელს რუსეთის იმპერიის ქალაქებში.

Контора страховаго общ. **„УРБЭНЪ“**

Тифлисъ, Михайловская № 9, д. Попова. Телефонъ № 543

(50—28)



# საზღვევი საზოგადოება „იაკორი“

**უმაღლესად** დამტკიცებული 1872 წელს მოსკოვში

ტფილისის უმთავრესი საავენტო

ღებულობს

**დაზღვევას ცეცხლისაგან**

ყოველ-გვარ უძრავ და მოძრავ ქონებისას.

**დაზღვევას სიცოცხლისა და თანხებისა**

შეღავათიანის პირობებით, მაგალითად შეღავათი იმ შემთხვევაში, როცა დაზღვეულს შრომა არ შეუძლიან და აგრეთვე დაზღვეულს სარგებლობა ეძლევა საზოგადოების მოგებიდან

**დაზღვევა უბედურ შემთხვევისაგან**

მიიღებიან საერთოდ დაზღვევა მუშებისა, ქარხნებსა და სახელოსნოებში, აგრეთვე დაზღვევა კერძო პირებისას

**დაზღვევა გაგზავნილ საქონლებისა**

ზღვაზედ, მდინარეებზედ თუ ხმელეთზედ, აგრეთვე დაზღვევა გემებისა

თხოვნებით და ყოველ-გვარ ცნობათა შესატყობად დაზღვევაზე შეიძლება მიჰმართონ ტფილისის კონტორაში უმთავრესს აგენტს ალექსანდრე გრიგოლის-ძეს სერგეევს, ერევნის მოედნის ყურში თავ. ციციშვილის სახლებში № 2. და აგრეთვე მოსკოვში საზოგადოების გამგეობაში.

**Страховое Общество „ЯКОРЬ“**

**Высочайше** утвержденное въ 1872 г. въ Москвѣ

**Принимаетъ:** 1) Страхованіе отъ огня, 2) страхованіе жизни и капиталовъ, 3) страхованіе отъ несчастныхъ случаевъ и 4) страхованіе транспортовъ.

**Контора Тифлисскаго Главнаго Агента Александра Григорьевича Сергѣева**

на углу Эриванской пл. д. кн. Цицiанова № 2. (50—41)



# КУРСЪ БУХГАЛТЕРІИ,

состоящій изъ слѣдующихъ предметовъ:

1) **Бухгалтеріи** двойной итальянской по разнымъ отраслямъ тортовой промышленности,
2) **Коммерческой ариѳметики** (банковыя и торговыя операціи),
3) **Ариѳметики на счетахъ.**
4) **Коммерческой экономіи,**
5) **Торговыхъ и вексельныхъ** узаконеній.

препомдаетъ **И. Я. БРОНЪ ФОНЪ-БРЕННЕРЪ, гл. бухгалтеръ общ. взаимн. сел.-хоз. кредита и препод. школы садоводства.**

Плата за весь курсъ 60 руб.

**Курсъ 3-мѣсячный**, при ежедневныхъ занятіяхъ въ теченіе 2-хъ часовъ, по вечерамъ. Начало занятій—1-е число каждаго мѣсяца.

**Аттестаты за успѣшныя занятія отъ реальнаго училища и школы садоводства.**

Составленная И. Я. Бронъ фонъ-Бреннеръ книга «Коммерческая ариѳметика» содержитъ въ себѣ VII отдѣловъ: 1) ариѳметич. вычисленія на счетахъ, 2) монетныя вычисленія, 3) товарныя сдѣлки, 4) вексельныя операціи, 5) торговыя товарищества, 6) банки и ихъ операціи, 7) биржевыя операціи (520 задачъ и таблицы). Цѣна 2 руб. **Продается во всѣхъ книжныхъ магазинахъ и у автора: Михайловская ул., № 71, и Барятинская, сельско-хоз. банкъ.**

(100—40)


Дозволено цензурою. Тифлисъ, 19 Августа 1898г. სტ. „ცნ. ფურც.“ (გ. გუნიასი), სას. ქ. სათ.-აზ. ქარვ. რედაქტორ-გამომცემელი გ. გუნია